როგორ გახდე ნოტარიუსი?

- ნოტარიუსის თანამდებობას იკავებს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩააბარებს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდას და გაივლის რვათვიან სტაჟირებას საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში;

- უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, აბარებს მხოლოდ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდას;

- უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა და ეკავა მოსამართლის თანამდებობა, აბარებს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის მხოლოდ უნარ-ჩვევების ნაწილს და თავისუფლდება პროფესიული ნაწილის ჩაბარებისგან;

- უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობაში, თავისუფლდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდისგან;

- ნოტარიუსს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის შედეგად.

ი 49/710

საქართველო, თბილისი
წერეთლის გამზირი № 142
ტელ.: (+ 995 32) 2 20 67 77
ტელ/ფაქსი.: (+995 32) 2 94 20 04
ცხელი ხაზი.: (+995 32) 2 20 67 76
www.notary.ge

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

გახდი შენი რაიონის ნოტარიუსი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

გახდი შენი რაიონის ნოტარიუსი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად
257 მოქმედი ნოტარიუსია.
142 - თბილისში,
18 - აჭარაში,
97- დანარჩენ რაიონებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საქართველოს ყველა რაიონის მოსახლეობისათვის სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

2012 წლის ნოემბერში საქართველოს 14 რაიონის მოსახლეობა ნოტარიუსის გარეშე იყო დარჩენილი. ადგილობრივ მოსახლეობას წლების განმავლობაში სანოტარო მომსახურების მისაღებად მეზობელ რაიონებში უწევდა წასვლა. ეს კი დამატებით ხარჯთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, დაიწყო კამპანია

„გახდი შენი რაიონის ნოტარიუსი!" რაიონების მოსახლეობის ინფორმირებასა

და ნოტარიუსობის მსურველ კანდიდატებთან აქტიური მუშაობის შედეგად დღეს აღნიშნული 14 რაიონიდან 10 რაიონის მოსახლეობისთვის სანოტარო მომსახურება უკვე ხელმისაწვდომია. ამასთან, ნოტარიუსები დაინიშნენ იმ ქალაქებსა და რაიონებშიც, სადაც ნოტარიუსთა რაოდენობა საკმარისი არ იყო.

რაიონებში დანიშნულ ნოტარიუსებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ბიუროს მოწყობაში, ტექნიკურად აღჭურვასა და სანოტარო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში ეხმარება. გარდა ამისა, ნოტარიუსობის ყველა იმ კანდიდატს, ვინც სანოტარო საქმიანობის დაწყებას ნოტარიუსის გარეშე დარჩენილ რეგიონში გადაწყვეტს, მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ასეთი კანდიდატები გამოცდის საფასურისგან გათავისუფლდნენ, მათ ნაცვლად თანხა საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ დაფარა.

სანოტარო მომსახურების გარეშე ჯერ კიდევ დარჩენილია ხუთი რაიონი. უახლოეს მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქისთვის სანოტარო მომსახურება თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

ქარელი, თიანეთი, თერჯოლა, წყალტუბო, ლენტეხი, ახმეტა, ვანი, ასპინძა, ოზურგეთი, ლანჩხუთი -
ამ რაიონებში სანოტარო ბიუროები უკვე მოქმედებს.

ონი, მესტია, ამბროლაური, ადიგენი, ქედა -
ეს რაიონები ჯერ კიდევ ნოტარიუსის გარეშეა.